

ხევსურიც შეინძრა

1907 წელი

ბარად რომ მომცე დიდება,

ქონება უთვალავია,

სასახლე ოქროს ტახტითა,

ჯარი და ზღვაზე ნავია,

არა ვინდომო ეგენი,

არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა

უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ასე დაასურათა განსვენებულმა რაფაელმა ხევსურის სიყვარული სამშობლოსადმი. ჩვენც გვჯეროდა, რომ ხევსური თავს არ დაანებებს სალ კლდეებსა, ბარის სიმდიდრე ვერ გაიტაცებს და თოვლიან-ყინულიან ხევსურეთს არ მოშორდება. მაგრამ მოვტყუვდით. ხევსური შეინძრა. იმის შიშით, რომ უსაზღოდ სული არ ამომძვრეს სალკლდეთა შორის, ადგა და მთავრობას დაუწყო მუდარა, ნება მომეცი ბარში დავბინავდეო. საოცარია, თან სამწუხარო და სავალალო ბედი ამ ერთი მუჭა ხალხისა. უხსოვარ დროიდან ხევსურები შეჰკედლებიან კავკასიონის ქედს, არწივსავით გაუკეთებიათ ბუდეები მთაგრეხილის უბე-კალთებზე და სდარაჯობდნენ ჩრდილოეთით საქართველოს. მტერს, რომელიც კი გაჰბედავდა აქეთ გადმოსვლას, სიცოცხლეს უმწარებდნენ. ფრინველი რა არის, იმასაც კი არ შეეძლო გადმოფრენა ჩრდილოეთიდან საქართველოში ხევსურის ნებადაურთველად. გაგონით არაკისა ჰქონდა გაგონილი, რომ თავხედი მტერი ოდესმე შეჰსეოდეს ამ უგზო-უკვლო და მამაცი ხალხით დასახლებულ ქვეყანას. პირველად 1813 წ. გენერალი სიმონოვიჩი რომ აიჭრა ხევსურეთს რუსის ჯარით ბატონიშვილ ალექსანდრეს დასაჭერად, ხევსურები სახტად დარჩნენ და კარგა ხანს ვერ გადაეწევიტათ - ვესროლოთ თოფი ამ ეშმაკის კერძებს, თუ არაო.

საქართველოს მეფენი სამაგიეროს უხდიდნენ ხევსურებს, ხარჯს არა სთხოვდნენ, უყვავებდნენ და საზრდოს ბარიდან უგზავნიდნენ. ნებაყოფლობით ხევსური ერთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ეს მოვალეობა იყო მტერთან ბრძოლა. შეატყობინებდნენ თუ არა, მტერი შემოესია ქვეყანას და გელითო, ხევსური იმ წუთშივე აისხამდა ხმალ-ხანჯარსა და მოეშურებოდა ბარისაკენ. ხევსურეთი მწირი და უნაყოფო ქვეყანაა. ან რა ნაყოფის გამოცემა შეუძლიან სალს

კლდესა, თოვლიან ყინულიანსა! შვიდი-რვა თვე თოვლი განუწყვეტილად სძევს და მხოლოდ მაისის ნახევარს გადნება ხოლმე. ვაინაჩრობით მოდის ქერი და ეს პირუტყვის საკვები ხორბალიც ხშირად სიცივისაგან იძვრის.

სიღარიბე ხევსურისა მეტისმეტად დიდია. საცვლის ხმარება სრულებით არ იცინა და ტიტველა ტანზე პირდაპირ იცვამენ შინ დართულ დაზლისაგან შეკერილ ჩოხა-შარვალს, შინაურ ფრინველს არ იჩენენ, ვინაიდან საჭმელი არა აქვთ, ეს კიდევ რაა, სქესობრივი ურთიერთობა თავისებურადაა აქვთ მოწყობილი, რომ შვილები ბლომად არ ეყოლოთ. საზრდოს ნაკლებობით გამოწვეული ურთიერთობაა მიზეზი, რომ ხევსურები არა მრავლდებიან და ამ უკანასკნელ ოცდაათ წელიწადში მათი რიცხვი აღარა მატულობს.

მთის ხევსა და ღელეებში რაც საცოდავი სახნავი მიწები იყო, გამოიფიტა და მოსავალს აღარ იძლევა, ტყე გაიკაფა და სალი კლდე უარესად გასაღდა და გატიტვლდა, რადგან საქონელს ნეკერთა ჰკვებადნენ. მთის სამოვარი იმდენი არაა, რომ საქონელი შეინახონ ბლომად და იმითი ირჩინონ თავი. მაშ რა უნდა ჰქნან, რომ შიმშილით არ გასწყდნენ? მეტი ჯანი არ არის, „სამშობლოს“ თავი უნდა დაანებონ და ციებცხელებიან ბარში ჩავიდნენ, იქ ხომ ყველას ასახლებენ, აძლევენ მამულს, სახლებს უშენებენ, თავზე ხელს უსვამენ და ჩაი-შაქარს უგზავნიან. ხევსურებმა რაღა დააშავეს?

რაკი ერთი გადასწყვიტეს ბარში ჩასვლა, აიღეს და სთხოვეს ტფილისის ნაგუბერნატორალს სვეჩინს, ნება მოგვეცი ბარში გადავიდეთ და მოგვეცი სახელმწიფო ადგილი, აქ ცხოვრება აღარ შეგვიძლიანო. სვეჩინმა საკუთრის თვალთ ნახა ხევსურის უმამულობა, საშინელი სიღარიბე და გაჭირვება. დაჰპირდა ვეცდები, რომ ბარში მამულები მოგვენო. დაპირება, როგორც მოსალოდნელი და როგორც ყოველთვის ხდება, დაპირებად დარჩა. ხევსურები კი ელოდნენ ბარიდან ბრძანებას_ აიყარეთ და ჩამოდით ძირს, მამული მზადააო...

გული გაუწყალდათ ლოდინით. ბარიდან უცნაური ამბები მოდის მთაში, ერთობა, ძმობაო. ჰაერი გაიჟლინთა ამ სიტყვებით. ეს რა ერთობაა როდესაც ხევსურს მტკაველა მიწა არა აქვს, რომ წლის საზრდო ქერი მოიყვანოს და ათასი ვერსიდან მოპატიჟებულ სტუმარს კი ორმოც დღიურ მიწას უზომავენო.

ფიქრის და ბჭობის შემდეგ ორ სოფელს - ჩირდილს და ბუჩუკურთას - ბარისახოს საზოგადოებისას ხელახლა უცდიათ ბედი, გამოუგზავნიათ ქალაქში კაცები და დაუვალეზიათ, სთხოვეთ მთავრობას, რომ მოგვეცეს სახელმწიფო ადგილი, ცივგომბორზე რომ „სეროდანია“-ო. ჩამოსულებს სოფლის განაჩენი არა ჰქონდათ და უკან დაბრუნდნენ ამ ეხლანდელ დროში საჭირო ქალაქის ჩამოსატანად. ბუჩუკურთელები უკან ჩავიდნენ ქალაქით და არზა მისცეს ნამესტნიკს.

ბუჩუკურთელებს არა უჭირთ რა. ტიტველა ტანზე ჩოხები მაინც ეცვათ, ჩირდილელები კი ნამდვილ მთხოვრებსა ჰგვანდნენ. ტყაპუჭები ისე იყო დაფლეთილი, რომ ძლივძლივობით ჰფარავდა ტიტველა ტანსა.

აი, ასეთი გალატაკებული, უადგილობით სიცოცხლეგამწარებული ხალხი ამაოდ ეძებს ადგილს იქ, სადაც სხვას შორიდან ეპატიუებიან, გზის ფულს აძლევენ, სახლებს უშენებენ და ასახლებენ.